სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

III კვარტლის ანგარიში | 2025

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო

სარჩევი

1. სამართლებრივი უზრუნველყოფა 2

2. ტყის აღრიცხვა 2

3. ტყითსარგებლობა 2

3.1 მერქნული რესურსით სარგებლობა 2

3.2 სატყეო ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაცია 2

4. ტყის მოვლა-აღდგენა 2

4.1 ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებები 2

4.2 ტყის დაცვის ღონისძიებები 2

5. კანონაღსრულება და კანონმდებლობის დარღვევები 2

6. ადამიანური რესურსების მართვა, საქმისწარმოება და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფა 2

6.1. ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება 2

6.2. სატრანსპორტო საშუალებები 2

6.3. საქმიანი ეზოების მოწყობა და ინფრასტრუქტურული პროექტები 2

7. სტრატეგიული დაგეგმვა და განვითარება 2

7.1 საერთაშორისო თანამშრომლობა 2

8. საზოგადოებასთან ურთიერთობა 2

9. ბიუჯეტის შესრულება 2

9.1 ინფორმაცია სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ 2

9.2. კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები და გადასახდელები 2

9.3. დაფინანსება სხვა წყაროებიდან: 2

9.4. ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია: 2

9.5. ელექტრონული აუქციონის წესით მერქნული რესურსის რეალიზაცია. 2

9.6. სახელმწიფო შესყიდვები 2

შესავალი

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. სააგენტო მართავს 1,738,282 ჰა სახელმწიფო ტყის ფართობს (ტყით დაფარულია 1,633,600 ჰა). შესაბამისად, სააგენტო ქვეყანაში ტყის მართვის ძირითადი ორგანოა და პასუხისმგებელია ტყითსარგებლობის, ტყის ინვენტარიზაციის, აგრეთვე, ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაზე ქვეყნის 9 რეგიონში.

სააგენტო შედგება ცენტრალური აპარატისა და 9 რეგიონული სამსახურისაგან ***(დიაგრამა 1).***

სააგენტო არ ოპერირებს დაცულ ტერიტორიებზე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, თბილისისა და მის გარშემო არსებული მუნიციპალური ერთეულების - სოფლებისა და ქალაქების, აგრეთვე, კერძო საკუთრებაში არსებულ ტყის ფართობებზე.

სააგენტოს მიზანია, ტყეების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების შენარჩუნება და გაუმჯობესება. მდგრადი მართვის გზით, მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობის და სოფლად განვითარების ხელშეწყობა.

სააგენტოს პრიორიტეტებია:

- ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების გაზრდა სამუშაოების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის გაუმჯობესებული მექანიზმის დანერგვის გზით;
- ტყის მართვის დაგეგმვის გაუმჯობესება;
- თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარება;
- საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება და ინფორმირების ხელშეწყობა;
- მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობის უზრუნველყოფა და ეკოსისტემების მომსახურების განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების განვითარება;
- ინსტიტუციური გაძლიერება და მმართველობის გაუმჯობესება.

დიაგრამა 1: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სტრუქტურა



1. სამართლებრივი უზრუნველყოფა

- „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად წინასწარი თანხმობის მიცემის შესახებ "საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი (20 ერთეული მაღალი გამავლობის ავტოსატრანსპორტო საშუალების პიკაპების შეძენის საკითხზე) (გამოიცა განკარგულება N 439 2025 წლის 11 მარტი);
- „საქართველოს რეგიონებში დიდთოვლობის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ხე-ტყით უზრუნველყოფის შესახებ "საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი. (გამოიცა განკარგულება N 490, 2025 წლის 17 მარტი) მომზადდა და სამინისტროში გაიგზავნა;
- „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების განსახორციელებლად წინასწარი თანხმობის გაცემის შესახებ "საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი (6 ერთეული მაღალი გამავლობის ავტოსატრანსპორტო საშუალების შეძენის საკითხზე გამოიცა განკარგულება N489 2025 წლის 17 მარტი) მომზადდა და სამინისტროში გაიგზავნა;
- „ტყითსარგებლობის წესის შესახებ "დებულების დამტკიცების თაობაზე "საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი. (ტყითსარგებლობის მომსახურების საფასურის გადახდის წესის ცვლილებაზე) მომზადდა და სამინისტროში გაიგზავნა. (ძალაში შევიდა 2025 წლის 13 ივნისს).
- „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის/საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის წესისა და პირობების შესახებ " საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 21 ნოემბრის N2-1121 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" მომზადდა და სამინისტროში გაიგზავნა.
- „ტყითსარგებლობის წესის შესახებ "დებულების დამტკიცების თაობაზე "საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებაში ცვლილების

შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი. (ტყითსარგებლობის დაზუსტებასთან დაკავშირებით) მომზადდა და სამინისტროში გაიგზავნა. (ძალაში შევიდა 2025 წლის 2 ივლისს).

- „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ "საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 31 მაისის №2-796 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების პროექტი მომზადდა და სამინისტროში გაიგზავნა *(გამოიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 18 აგვისტოს N2-513 ბრძანება).*
- „სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ სატყეო გზების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი მომზადდა და სამინისტროში გაიგზავნა (2025 08 სექტემბერი).
- ,,საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი მომზადდა და სამინისტროში გაიგზავნა (2025 08 სექტემბერი).
- „ტყითსარგებლობის წესის შესახებ "დებულების დამტკიცების თაობაზე "საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ "საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი (2025 08 სექტემბერი) მომზადდა და სამინისტროში გაიგზავნა.
- „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის სახელმწიფო შესყიდვის განსახორციელებლად წინასწარი თანხმობის მიცემის შესახებ "საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი მომზადდა და სამინისტროში გაიგზავნა (45 ერთეული მაღალი გამავლობის ავტოსატრანსპორტო საშუალების პიკაპების შეძენის საკითხზე) *(გამოიცა განკარგულება N1495 2025 წლის 11 სექტემბერი)* მომზადდა და სამინისტროში გაიგზავნა.
- „2025 წლისათვის სოციალური ჭრის საფუძველზე მოპოვებული ხე-ტყის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

“საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2024 წლის 25 დეკემბრის N2-917 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების პროექტი *(გამოიცა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2025 წლის 11 სექტემბერს N2-562 ბრძანება)* მომზადდა და სამინისტროში გაიგზავნა.

- „ტყის დაცვის, აღდგენისა და მოვლის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე “საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 ივლისის N383 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე “საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი (2025 წლის 25 სექტემბერი) მომზადდა და სამიისტროში გაიგზავნა.

2. ტყის აღრიცხვა

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული სახელმწიფო ტყის ფართობების აღრიცხვა სისტემატური პროცესია, რომლის დროსაც სააგენტო მოიპოვებს ინფორმაციას ტყის რესურსების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ, ადგენს სატყეო უბნების საზღვრებს და შეიმუშავებს ტყის მართვის გეგმებს.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მოთხოვნის საფუძველზე, განხორციელდა კორექტირება 51 411 კვ.მ. ფართობზე სატყეო უბნების სახელმწიფო ტყეში ჩასარიცხი და ამოსარიცხი ფართობების Shp ფაილების; „ტყის მდგრადი მართვა ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე - 8 სამიზნე სატყეო უბანი“ პროექტის ფარგლებში - განხორციელდა ოზურგეთი სატყეო უბნის 19300 ჰა ტერიტორიაზე მიმდინარე ტყის აღრიცხვის (ინვენტარიზაციის) ფარგლებში პირველი (I) ეტაპით გათვალისწინებული დეშიფრირებული სახელმწიფო ტყის ფართობების გადამოწმება და შეთანხმება (ჩასარიცხი და ამოსარიცხი ტერიტორიების Shp ფაილების დამუშავება); დასრულდა ასევე, მეორე (II) ეტაპით გათვალისწინებული ტყეთმოწყობის საველე სამუშაოები, სრულად განხორციელდა წარმოდგენილი მასალების საველე გადამოწმება;

„ტყის მდგრადი მართვა ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე - 8 სამიზნე სატყეო უბანი“ პროექტის ფარგლებში - განმეორებით გამოცხადდა ელ. ტენდერი და გაფორმდა ხელშეკრულება თიანეთის სატყეო უბნის (ფართობი - 40924 ჰა) ტყეთმოწყობის სამუშაოების მომსახურების შესყიდვის მიზნით;

განხორციელდა (II) ეტაპით გათვალისწინებული ტყეთმოწყობის საველე სამუშაოების გადამოწმება, რომელიც წარმოდგენილია 16910 ჰა ფართობზე სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის მიერ;

გაფორმდა ხელშეკრულება საგარეჯოს სატყეო უბნის (ფართობი - 37 682 ჰა) დასრულებულია პირველ (I) ეტაპით გათვალისწინებული დეშიფრირებული სახელმწიფო ტყის ფართობების გადამოწმება და შეთანხმება (ჩასარიცხი და ამოსარიცხი ტერიტორიების Shp ფაილების დამუშავება) ასევე განხორციელდა გადამოწმება (II) ეტაპით გათვალისწინებული ტყეთმოწყობის საველე სამუშაოების, რომელიც სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილია - 16557 ჰა ფართობისთვის;

გაფორმდა ხელშეკრულება გურჯაანის სატყეო უბნის (28 848 ჰა) ტყის ინვენტარიზაციის და 10 წლიანი ტყის მართვის გეგმების შემუშავებისთვის. განხორციელდა პირველ (I) ეტაპით გათვალისწინებული დეშიფრირებული სახელმწიფო ტყის ფართობების გადამოწმება და შეთანხმება (ჩასარიცხი და ამოსარიცხი ტერიტორიების Shp-ფაილების დამუშავება), ასევე განხორციელდა გადამოწმება (II) ეტაპით გათვალისწინებული ტყეთმოწყობის საველე სამუშაოების, რომელიც სამუშაოების შემსრულებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილია 13622 ჰა ფართობისთვის;

დამტკიცდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში, დედოფლისწყარო-სიღნაღის სატყეო უბნის ტყის მართვის გეგმა - 23644 ჰა ფართობისთვის

მიმდინარეობდა ტყის მართვის გეგმის პროექტების შემუშავება ყვარლის სატყეო უბანში - 45044 ჰა ფართობზე, თელავის სატყეო უბანში - 52331 ჰა ფართობზე, ონის სატყეო უბანში - 57417 ჰა ფართობზე, ცაგერის სატყეო უბანში - 50827 ჰა ფართობზე. აღნიშნულ სატყეო უბნებში ტყეთმოწყობის საველე სამუშაოები დასრულდა 2024 წელს.

126754 ჰა ზე მიმდინარეობს ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოები.

3. ტყითსარგებლობა

ტყითსარგებლობის დეპარტამენტი, კომპეტენციის ფარგლებში, პასუხისმგებელია ტყითსარგებლობის რეგულირებისა და დაგეგმვის ორგანიზებაზე, სარგებლობის უფლებით გასაცემი ობიექტების მომზადებაზე, აგრეთვე მერქნული რესურსით უზრუნველყოფის (გარდა აუქციონის წესით გაცემისა) ღონისძიებების ორგანიზებაზე.

3.1 მერქნული რესურსით სარგებლობა

საანგარიშო პერიოდში სააგენტოს მიერ სამეურნეო და მოვლითი ჭრებით დამზადებულია **78 446,03** კბმ მერქნული რესურსი.

ცხრილი 1. *სააგენტოს მიერ განხორციელებული ჭრა (2025წლის I-II-III კვარტალი)*

სატყეო სამსახური	სააგენტოს ჭრა	მოვლითი ჭრა	სულ:
მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახური	2070.20	0	2070.20
გურიის სატყეო სამსახური	733.96	0	733.96
იმერეთის სატყეო სამსახური	5111.54	85.00	5196.54
კახეთის სატყეო სამსახური	604.99	0	604.99
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახური	8764.34	0	8764.34
სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსასახური	54081.65	0	54081.65
სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახური	5886.24	458.46	6344.70
შიდა ქართლის სატყეო სამსახური	649.66	0.00	649.66
სულ:	**77 902.58**	**543.46**	**78 446.04**

ეროვნული სატყეო სააგენტო მისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს საბიუჯეტო ორგანიზაციების სათბობი მერქნული რესურსით უზრუნველყოფას. საანგარიშო პერიოდში საბიუჯეტო ორგანიზაციების მომარაგების მიზნით, დამზადებული და მიწოდებულია **9508,79** კბმ მერქნული რესურსი.

ცხრილი 2. *სააგენტოს მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციების მომარაგება (2025 წლის I- II -III კვარტალი).*

სატყეო სამსახური	მოცულობა (კბმ)
მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახური	1431.00
გურიის სატყეო სამსახური	960.00
იმერეთის სატყეო სამსახური	1608.54
კახეთის სატყეო სამსახური	1422.00
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახური	575.80
სამეგრელო- ზემო სვანეთი	331.45
სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახური	2305.00
ქვემო- ქართლი სატყეო სამსახური	714.00
შიდა ქართლის სატყეო სამსახური	161.00
სულ:	**9 508.79**

საანგარიშო პერიოდში სათბობი შეშით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით, სოციალური ჭრის ტყეკაფებიდან გაცემულია **89 588,90** კბმ მერქნული რესურსი.

ცხრილი 3. *სოციალური ჭრა (2025 წლის I -II-III კვარტალი).*

სატყეო სამსახური	მოცულობა (კბმ)
გურიის სატყეო სამსახური	1312.75
იმერეთის სატყეო სამსახური	7831.44
კახეთის სატყეო სამსახური	13145.40
მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახური	7406.07
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის სატყეო სამსახური	11329.74
სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახური	2024.00
სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახური	13787.20
ქვემო ქართლის სატყეო სამსახური	15095.25
შიდა ქართლის სატყეო სამსახური	17657.05
სულ:	**89 588.90**

3.2 სატყეო ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაცია

მიმდინარეობდა საველე სამუშაოები ტყეკაფამდე მისასვლელი სატყეო-სამეურნეო გზების მოწყობა-რეაბილიტაციისათვის: სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე ტყეკაფამდე მისასვლელი სატყეო გზების მოწყობა/რეაბილიტაციის მიზნით ჩატარდა საველე სამუშაოები და დასრულდა დაპროექტება. აქედან, **დაპროექტდა:** რეაბილიტაციის მიზნით სატყეო გზები სიგრძით - 110 738 მ; ხოლო, მოწყობის მიზნით - 7336,5 მ. სატყეო გზა. **შესრულდა:** რეაბილიტაცია ჩაუტარდა 71 766 მ. გზას, ხოლო, მოეწყო - 6 707,5 მ. სატყეო გზა.

ტყით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა

ტყით სპეციალურ სარგებლობასთან დაკავშირებით: საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ-გამაჯანსაღებელი მიზნით გაიცა 9 ნებართვა სულ: 90675 კვ.მ. წლიური საფასური: **71951.84 ₾.**

ტყით სპეციალურ სარგებლობასთან დაკავშირებით (იჯარა) სასოფლო-სამეურნეო (ფუტკრის დროებითი სადგომის მოწყობა) მიზნით გაიცა სააგენტოს უფროსის 8 ერთეული ბრძანება, სულ: 41588 კვ.მ. წლიური საფასური: **872 ₾**.

ტყის არამერქნული რესურსების, მერქნიანი მცენარეების პროდუქტებისა და ხის მეორეხარისხოვანი მასალების დამზადების მიზნით გაიცა სააგენტოს უფროსის 21 ერთეული ბრძანება, გადასახდელი თანხა შეადგენს 4200 ₾.

ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსების მიზნით 2025 წელს დადებული ხელშეკრულებები:

შპს „მაგთიკომი“- გაფორმდა ოთხი ხელშეკრულება, აქიდან ვადამდე ადრე შეწყდა ერთი ხელშეკრულება. გასაფორმებელია ორი ხელშეკრულება.

შპს“მაგთიკომზე“ მოქმედი ხელშეკრულებებით გაცემულია 1365კვმ. მიწის ფართობი, ხოლო თანხა შეადგენს - 71 200 ლარი.

შპს „სელფი მობაილი“ - დაიდო სამი ხელშეკრულება, აქედან ერთი შეწყდა ვადამდე ადრე. - შპს „სელფი მობაილზე“ მოქმედი ხელშეკრულებებით გაცემულია - 339 კვმ.ფართობი, ხოლო თანხა - 16 800 ლარი.

განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობა

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის ბრძანებების საფუძველზე, განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობის და სპეციალური ჭრის უფლება გაიცა 5353530 კვ.მ მიწის ფართობზე სულ 167 ბრძანება . წარმოდგენილი ბრძანებების საფუძველზე, სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობისთვის და სპეციალური ჭრებისთვის გადასახდელი თანხა საორიენტაციოდ შეადგენს 13,760,765.09 ლარს.

4. ტყის მოვლა-აღდგენა

ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტი უზრუნველყოფს ტყის აღდგენისა და გაშენების ღონისძიებების ორგანიზებას, ტყის სანიტარიული მდგომარეობის გაუმჯობესების, აგრეთვე მავნებელ-დაავადებათა მართვისა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზებას.

4.1 ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებები

საანგარიშო პერიოდში ტყის მოვლა-აღდგენის დეპარტამენტის მიერ ტყის აღდგენა-გაშენების მიზნით განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, სამცხე-ჯავახეთის და გურიის რეგიონებში ტყის აღდგენა-გაშენების მიზნით 1799.7 ჰექტარი ფართობისათვის მომზადდა 9 პროექტი, მათ შორის: 5 კახეთის, 1 მცხეთა-მთიანეთის, 2 სამცხე-ჯავახეთის და 1 გურიის რეგიონისათვის, ასევე აღნიშნული პროექტებისთვის მომზადდა სატენდერო პაკეტები. ამ ეტაპზე რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურის ტერიტორიაზე ტყის აღდგენა-გაშენების მიზნით შერჩეული 592 ჰა ფართობისათვის დასრულდა საველე სამუშაოები და მიმდინარეობს პროექტის მომზადება (კამერალური სამუშაოები).
- შიდა ქართლის, ქვემო ქართლის, კახეთის და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, გასულ წლებში დაწყებული და მიმდინარე 17 ტყის აღდგენა-გაშენების პროექტისთვის, საერთო ფართობით 911.2 ჰა-ზე (მ.შ.: შიდა ქართლი 62.4 ჰა, ქვემო ქართლი 121.6 ჰა, კახეთი 97.5 ჰა და სამცხე-ჯავახეთი 629.7 ჰა), განხორციელდა მიმდინარე წლისთვის დაგეგმილი ტყის აღდგენა-გაშენების სამუშაოებისათვის გეგმა-გრაფიკების მომზადება.

- მომზადებული გეგმ-გრაფიკების მიხედვით 754.3 ჰა ფართობზე (მ.შ.: ქვემო ქართლი 12 ჰა, შიდა ქართლი 31.7 ჰა, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი 33.6 ჰა, გურია 677 ჰა) დასრულდა მოვლის (ფართობების გაწმენდა) სამუშაოები, რომლებზეც მომზადდა შესაბამისი დასკვნები და მიმწოდებლებთან გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტები.

4.2 ტყის დაცვის ღონისძიებები:

2025 წლის საანგარიშო პერიოდისთვის ტყის დაცვის ღონისძიებების მიმართულებით, მბეჭდავი ქერქიჭამიას წინააღმდეგ მონიტორინგის მიზნით 4500 ცალი ფერომონი გადაეცა სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურს, აქედან 1500 ცალი ფერომონი უკვე განთავსდა იგივე რაოდენობის მწერსაჭერში. ამ ეტაპისათვის სულ განხორციელებულია 9 მონიტორინგი. ტყის ხანძრების პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარისა და პირადი დაცვის საშუალებების შესყიდვა ყველა სატყეო უბნისათვის.(ფოცხი - 412 ცალი, წერაქვი - 43 ცალი , ბარი - 523 ცალი, ნიჩაბი - 578 ცალი, ნაჯახი - 215 ცალი).

2025 წელს გაიგზავნა 350 ერთეული ინფორმაციული ბანერი QR კოდით ტყეში ქცევის წესების შესახებ და განთავსდა ყველა რეგიონალურ სატყეო სამსახურს დაქვემდებარებულ ტყის ტერიტორიაზე (სარეკრეაციო ზონებში).

სანიტარული ჭრის ფარგლებში დამზადდა 7170 კბ.მ მერქნული რესურსი.

5. კანონაღსრულება და კანონმდებლობის დარღვევები

2025 წლის 9 თვის განმავლობაში (იანვარი-სექტემბერი) სააგენტოს კონტროლისა და მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, შემოსული დოკუმენტაციის, ასევე განხორციელებული საველე და დოკუმენტური შემოწმებების შედეგებზე, მოამზადეს 29 დასკვნა, რომელთა საფუძველზეც, სააგენტოს 39 თანამშრომლის მიმართ გამოყენებული იქნა სხვადასხვა სახის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა, კერძოდ: ,,შენიშვნა" დაეკისრა 27 თანამშრომელს, „გაფრთხილება" მიეცა 3-ს, „საყვედური" გამოეცხადა 6-ს, ,,თანამდებობრივი სარგო დაუკავდა" 1 მათგანს, ხოლო ორი თანამშრომელი „გათავისუფლდა სამსახურიდან". ასევე, უწყებას დაქვემდებარებული რეგიონული სამსახურებიდან, შემდგომი რეგირების მიზნით გადმოიგზავნა, გადაცდომების შესახებ 64 კორესპონდენცია, რომლებიც შესწავლილი იქნა და ვინაიდან სახეზე იყო მხოლოდ მექანიკური სახის ხარვეზები, მათ მიმართ არ გამოყენებულა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები. აღნიშნულზე მომზადდა მოხსენებითი ბარათები და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. ერთი მათგანი კი შეიცავდა სისხლის სამართლის დანაშაულის სავარაუდო ნიშნებს და გადაიგზავნა სამართალდამცავ ორგანოში.

2025 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, კახეთის, ქვემო-ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის, გურიის და სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურებში შერჩევითი წესით შემოწმდა, 2024-25 წლებში, კერძო საკარმიდამო ნაკვეთებში მრგვალი ხე-ტყის (მორის) მარკირების თაობაზე შესული წერილების (მოქალაქეთა განცხადებები) შესრულების მდგომარეობა, სოციალური და სპეციალური მიზნით გამოყოფილი ტყეკაფების მასალები, სატყეო სამსახურის მიერ გაცემული ხე-ტყის წარმოშობის დოკუმენტები, მათი გაუქმების და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების შედგენის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან, აღნიშნულზე კონტროლისა და მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ მომზადდა მოხსენებითი ბარათები და ხარვეზებთან დაკავშირებით გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. გარდა ამისა, შრომის უსაფრთხოების სერთიფიცირებული თანამშრომლების მხრიდან მოხდა, იმავე სამსახურების საქმიან ეზოებში, შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის კუთხით 2 არსებული მდგომარეობის ინსპექტირება. გამოვლენილ ხარვეზებზე გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები. პარალელურად, სატყეო უბნის უფროსებს და ცალკეულ თანამშრომლებს, ჩაუტარდათ შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვის შესახებ ზოგადი ინსტრუქტაჟი.

საანგარიშო პერიოდში, დეპარტამენტისა და კახეთის სატყეო სამსახურის თანამშრომლების მიერ, ერთობლივად შემოწმდა წინანდლისა და თელავის სატყეოებში სოციალური მიზნით გამოყოფილი ტყეკაფები და მათი მიმდებარე სახელმწიფო ტყის ფართობები, რა დროსაც წინანდლის სატყეოში დაფიქსირდა უკანონოდ მოჭრილი, ფოთლოვანი სახეობის ჯამში 263 ძირი ხე-მცენარე, საერთო მოცულობით 321,97 მ 3 . საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 ივლისის N368 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის - „გარემოსთვის მიყენებული ზიანის ფულადი სახით ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ დებულების თანახმად, ტყის რესურსებზე უკანონო ქმედებით გარემოსთვის მიყენებულმა ზიანის თანხამ შეადგინა 48 972,24 ლარი. აღნიშნულის შესახებ მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა შსს კახეთის პოლიციის დეპარტამენტს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო დეპარტამენტში მოქმედ ცხელ ხაზზე დაფიქსირებულ შეტყობინებათა რეაგირების ფარგლებში, 2025 წლის პირველ კვარტალში, დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ შემოწმდა მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახურის ფასანაურის სატყეო უბნის დუშეთისა და მჭადიჯვრის სატყეოებში გამოყოფილი ტყეკაფები და მიმდებარე ფართობები, რაშიც ასევე მონაწილეობდა შეტყობინების ავტორი. დადგინდა, რომ ტყეკაფები გამოყოფილი იყო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხე-ტყის დამზადება მიმდინარეობდა დარღვევების გარეშე და ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტები არ გამოვლენილა, რის შესახებაც ეცნობა შეტყობინების ავტორს, ხოლო მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახურს მიეცა რეკომენდაცია, ტყეკაფებში ხე-ტყის დამზადების შედეგად მიღებული ნარჩენის კანონმდებლობის შესაბამისად განთავსების შესახებ.

სსდ გარემოსადაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტიდან შემოსული კორესპონდეციის საფუძველზე, დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ შემოწმდა ქვემო ქართლის სატყეო სამსახურის გარდაბანი-მარნეულის სატყეო უბნის წერაქვისა და ოფრეთის სატყეოებში სოციალური ჭრის მიზნით გამოყოფილი ტყეკაფები და მიმდებარე 3 ფართობები, რა დროსაც დაფიქსირდა ხე-ტყის უკანონო ჭრის ფაქტები. ზემოთ აღნიშნულ სატყეოებში აღრიცხული იქნა უკანონოდ მოჭრილი, ფოთლოვანი სახეობის, II ხარისხის, ჯამში 473 ძირი ხე-მცენარე, საერთო მოცულობით 324,8 მ 3 . გარემოზე მიყენებულმა ზიანის თანხამ შეადგინა 49 505,27 ლარი. ამასთან, საქმის მასალების შესწავლით გამოიკვეთა, ხეტყის წარმოშობის დოკუმენტების შესაძლო გაყალბების ფაქტი, რის გამოც მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა ქვემო ქართლის საოლქო პროკურატურას, ხოლო სპეციალისტს სააგენტოსთან შეუწყდა შრომითი ურთიერთობა.

საანგარიშო პერიოდში, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს კონტროლისა და მონიტორინგის დეპარტამენტის და რეგიონული სატყეო სამსახურების თანამშრომლების მიერ ერთობლივად შემოწმდა, იმერეთის სატყეო სამსახურის ზესტაფონის სატყეო უბნის ბოსლევის და მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახურის, თიანეთის სატყეო უბნის სიონის სატყეოებში, სპეციალური ჭრის მიზნით, სააგენტოს მიერ გამოყოფილი ტყეკაფები, მათი ათვისების მდგომარეობა და მიმდებარე ფართობები, პირველ შემთხვევაში, ხარვეზების გამოსწორების მიზნით გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები, ხოლო გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით, თიანეთის სატყეო უბნის თანამშრომლების მიმართ განხორციელდა დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენება (”სამსახურიდან გათავისუფლება”). 2025 წლის მეორე კვარტალში, სააგენტოს კონტროლისა და მონიტორინგის დეპარტამენტის და ტყითსარგებლობის დეპარტამენტების თანამშრომლების მიერ, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურის თანამშრომლებთან ერთად, ადგილზე შემოწმდა ცაგერის, ლენტეხის, ამბროლაურის და ონის სოციალური და სპეციალური ჭრის მიზნით გამოყოფილი 22 ტყეკაფი, მათ მისასვლელ გზებზე და მიმდებარედ არსებული მდგომარეობა. შემოწმების შედეგად ცაგერის სატყეო უბნის ქულბაქის სატყეოს მე-3 კვარტლის მე-11 ლიტერში, გამოვლინდა წარმოშობის დოკუმენტების გარეშე მოჭრილი 47 ძირი ხე საერთო მოცულობით 350.16 მ 3 , აქედან 46.76 მ 3 დატოვებულია ტყეკაფში, ხოლო 303.34 მ 3 დატაცებულია. ასევე, აღნიშნულ ტყეკაფში და მის მიმდებარედ, მე-17 და მე-18 ლიტერებში, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურის თანამშრომლების მიერ 2025 წლის 15 ივნისს, აღმოჩენილი იქნა სახელმწიფო ტყის ფონდში უნებართვოდ შეყვანილი სამი ერთეული მუხლუხებიანი სატრანსპორტო საშუალება, რომლებზედაც შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით 2025 წლის 22 ივნისს გადაგზავნილია ცაგერის რაიონულ 4 სასამართლოში, ხოლო ზემოაღნიშნული 47 ძირი ხე-მცენარის ჭრის ფაქტზე, 2025 წლის 23 ივნისს, მასალები გადაეგზავნა შსს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის დეპარტამენტის ცაგერის შსს რაიონულ სამმართველოს და მიმდინარეობს გამოძიება. დანარჩენ 21 ტყეკაფსა და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე, უკანონო ჭრის ფაქტები დაფიქსირებული არ ყოფილა, თუმცა ყველა მათგანში, ფიქსირდება ჭრის შედეგად მიღებული ნარჩენისაგან გაუწმენდაობა, რაზედაც გაიცა რეკომენდაცია ხე-ტყის ჭრის შედეგად მიღებული ნარჩენის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად განთავსების საკითხზე.

6. ადამიანური რესურსების მართვა, საქმისწარმოება და მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფა

6.1. ადამიანური რესურსების მართვა და საქმისწარმოება

2025 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, სააგენტოში დასაქმებულია 1227 ადამიანი.

მათ შორის:

- ცენტრალურ აპარატში - 167 (შტატით განსაზღვრულ თანამდებობაზე - 89 თანამშრომელი, ხელშეკრულებით - 78 თანამშრომელი , სტაჟიორი - 2).
- რეგიონულ სატყეო სამსახურებში - 1060 თანამშრომელი (შტატით განსაზღვრულ თანამდებობაზე - 375 თანამშრომელი, ხელშეკრულებით - 679 თანამშრომელი, სტაჟიორი - 4).

დასაქმებულთა რაოდენობა: სულ - 1221; მათგან მამრობითი - 1080; მდედრობითი -141.

დიაგრამა 3: შტატიანი და შტატგარეშე თანამშრომელთა რაოდენობა.



დიაგრამა 2: დასაქმებულთა რაოდენობის გენდერული განაწილება.



დიაგრამა 4: თანამშრომელთა ასაკობრივი ჯგუფებისა და გენდერის მიხედვით განაწილება.



- 2025 წლის იანვარი-სექტემბრის საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ მომზადდა 391 ბრძანება თანამშრომელთა დანიშვნა-გათავისუფლების შესახებ, 35 ბრძანება - თანამშრომელთა მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენების შესახებ, 685 ბრძანება - თანამშრომელთა შვებულების შესახებ, 871 ბრძანება - მივლინების შესახებ, გაფორმდა 37 ადმინისტრაციული ხელშეკრულება და 987 შრომითი ხელშეკრულება;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების ზოგიერთ თანამდებობაზე დასანიშნად შესაბამისი კანდიდატების კონკურსის წესით შერჩევის მიზნით მომზადდა 7 ბრძანება 33 ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნ პოზიციაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ, მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებულ ვებ - გვერდზე ატვირთული იქნა და შესაბამისად გადაირჩა 155 აპლიკაცია. შეფასება/გადარჩევის ეტაპი გაიარა (გადალახა) და კონკურსის მომდევნო ეტაპზე გადავიდა 62 კანდიდატი, კონკურსის წესით დაინიშნა 23 კანდიდატი.

- აღნიშნულ საანგარიშო პერიოდში სამსახურში შემოსულ წერილებზე, მათ შორის საჯარო ინფორმაციის მოთხოვნასთან დაკავშირებით, მომზადდა შესაბამისი პასუხები;
- პერიოდულად ხდებოდა eHRMS - ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემის სრულყოფა/განახლება;
- განხორციელდა დასაქმებულთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების პირველი ეტაპი. სააგენტოს ცენტრალური აპარატის 88-მა თანამშრომელმა eHRMS სისტემის პირად გვერდზე, შეფასების მოდულში, განსაზღვრა მიმდინარე წლის მიზნები და კომპეტენციები. შეფასების სისტემის სრულყოფილად, ვადების დაცვით, ხარვეზების გარეშე შევსების ხელშეწყობის მიზნით მონიტორინგი განხორციელდა შეფასების პროცესის მიმდინარეობაზე. მეორე ეტაპზე - 77 თანამშრომლის მიმართ განხორციელდა შუალედური შეფასება.
- სადაზღვევო კომპანია ,,PSP"-ში დაეზღვა 1022 თანამშრომელი და მათი ოჯახის წევრები, აქედან სააგენტოს მიერ დაზღვეული არის 812 თანამშრომელი.
- მიმდინარეობს "დასაქმების ხელშეწყობის 2022 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად, სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირების საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის მიზნით, დასაქმების ხელშეწყობის პროცედურები, კერძოდ, რეგიონალური სატყეო სამსახურებიდან შემოსული ინფორმაციების შესაბამისად, შესაბამის პორტალზე აიტვირთა 103 ვაკანსია. 2025 წლის იანვარი-სექტემბრის საანგარიშო პერიოდში დასაქმდა 101 სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი პირი (დამხმარე სპეციალისტი - 81, დარაჯი - 8, დამლაგებელი - 8), გათავისუფლდა 4 სპეციალისტი.
- „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესისა და პირობების შესახებ "სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების თაობაზე "საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის №410 დადგენილებით სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოში სტაჟიორთა სავალდებულო კვოტა განისაზღვრა 100 ერთეულით;
- „საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების გავლის წესის დამტკიცების თაობაზე "საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 მაისის №177 დადგენილების შესაბამისად, სსიპ - ეროვნულ სატყეო სააგენტომ სტაჟიორთა შერჩევის მიზნით მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებულ www.hr.gov.ge-ის ვებ-გვერდზე გამოაცხადა 138 სტაჟირების კონკურსი. მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებულ ვებ - გვერდზე ატვირთული იქნა და შესაბამისად გადაირჩა 322

აპლიკაცია. შეფასება/გადარჩევის ეტაპი გაიარა და კონკურსის მომდევნო ეტაპზე გადავიდა 134 კანდიდატი, კონკურსის წესით დაინიშნა 12 სტაჟიორი.

- სსიპ - ეროვნულ სატყეო სააგენტოში 2025 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 30 ივნისის ჩათვლით შემოსული წერილების რაოდენობა შეადგენს - 2689 წერილი/განცხადება, მომზადებულია - 4569 მოხსენებითი და სამსახურებრივი ბარათი, სააგენტოდან გასულია - 2754 წერილი და მომზადებულია 3237 სამართლებრივი აქტი.

.2. სატრანსპორტო საშუალებები

- განხორციელდა სააგენტოს ბალანსზე რიცხული 400 ერთეულ მსუბუქ, მძიმე ტექნიკაზე და ბაგის ტიპის სატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურება, მომსახურების სერთო ღირებულება CPV 50110000 შეადგენს 870,777.10 ლარს;
- განხორციელდა მსუბუქი-სატვირთო ა-მანქანებისათვის და სპეცტექნიკისთვის ზამთრის სეზონის საბურავების შესყიდვა და რეგიონების მიხედვით გადანაწილება. საერთო ჯამში შესყიდული იქნა 168 ერთეული სპეცტექნიკის და 544 ერთეული მსუბუქი ავტომანქანის საბურავი.
- განხორციელდა სსიპ ქონების ეროვნული სააგენტოსთვის 12 ერთეული ექსპლუატაციისათვის გადმოუსადეგარი, ავტომანქანის და სპეცტექნიკის გადაცემის პროცედურა;
- განხორციელდა სს ბბ დაზღვევისთვი 2 (ორი) ერთეული დაზიანებული/სრული ზარალი ავტომანქანის გადაცემის/ჩანაცვლების პროცედურა;
- განხორციელდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის 2 (ორი) ერთეული ავტომანქანის გადაცემის პროცედურა
- განხორციელდა 20 ერთეული მსუბუქი მაღალი გამავლობის სპეციაიზირებული კლასის ა-მანქანების შესყიდვა და მათი რეგიონებში გადანაწილება.
- განხორციელდა 38 (ოცდათვრამეტი) ავტოსაგზაო შემთხვევაზე (ღირებულებით 341071,21 ლარი) შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და ზარალის დარეგულირება (მათ შორის 2 ერთეული სრული ზარალი რომლის საფუძველზე განხორციელდა სააგენტოსთვის 2 ერთეული ახალი ა-მანქანის შესყიდვა);
- განხორციელდა რეგიონების მიხედვით სააგენტოს ბალანსზე რიცხული სპეცტექნიკის და მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებების დათვალიერება/დასურათება/აღწერა;

- ადმინისტრაციული აქტების საფუძველზე, განხორციელდა სააგენტოს სპეცტექნიკაზე 345055.53 ლიტრი საწვავის(დიზელის) გამოყოფა;
- განხორციელდა სხვადასხვა ტიპის 900-მდე ადმინისტრაციული აქტის მომზადება.
- განხორციელდა 2026 წლის პერიოდისათვის სააგენტოს ბალანსზე რიცხული სპეცტექნიკის და მსუბუქი ა-მანქანების ტექნიკური მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით ბაზრის კვლევის და ტექნიკური დავალებების მომზადება

.3. საქმიანი ეზოების მოწყობა და ინფრასტრუქტურული პროექტები

- მიმდინარეობდა 9 ადმინისტრაციული შენობის (ონის, მცხეთის, საჩხერის, ლენტეხის, ასპინძის, სადმელის, ზესტაფონის, დუშეთის, ბახმარო) სამშენებლო სარემონტოს სამუშაოები, საიდანაც დასრულდა საჩხერის ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები და ბახმაროს ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის ხელშეკრულება ორმხრივი შეთანხმდეს აქტის საფუძველზე შეწყდა.
- მიმდინარეობდა ორი საქმიანი ეზოს (იმერეთი-გრიგალათი-ხევის, ქვემო ქართლი-მამხუტი), ერთ საქმიან ეზოში (მცხეთა-ჯიღაურაში) ანგარის მოწყობის სამუშაოები, რომელიც დასრულდა მე-3 კვარტალში.
- მიმდინარეობდა ადიგენის მუნიციპალიტეტის, სოფელი ჩორჩანში მდებარე მიწის ნაკვეთზე საქმიან ეზოში ნაპირსამაგრი გაბიონის და ეზოს ინფრასტრუქტურის მოწყობა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები, რომელიც დასრულდება მე-4 კვარტალში.
- გაფორმდა ხელშეკრულება და დასრულდა თბილისის ცენტრალური ოფისის საკონფერენციო დარბაზის და რამდენიმე სამუშაო სივრცის კეთილმოწყობის სამუშაოები.
- მიმდინარეობდა ქ. თბილისში, ვლადიმერ წითლანაძის 1 შესახვევი, №1-ში მდებარე სააგენტოს კუთვნილი ადმინისტრაციული შენობის სარდაფის სართულზე არსებული ავტოფარეხის ფართში ჭერის სიბრტყის დონეზე, დროებითი დამცავი ლითონის ბადეების მოწყობის სამუშაოები, რომელიც დასრულდა მე-3 კვარტალში.
- გამოცხადდა ტენდერი, გაფორმდა ხელშეკრულება და მიმდინარეობს ქ. თბილისში, ვლადიმერ წითლანაძის 1-ლი შესახვევი № 1-ში მდებარე სააგენტოს კუთვნილი ადმინისტრაციული შენობის პირველ სათულზე არსებული ფართის სარემონტო სამუშაოები, პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები დასრულდება 2025 წელს.
- **სულ სააგენტოში, დღეის მდგომარეობით, მოწყობილია 70 საქმიანი ეზო** (ზესტაფონი, მათხოჯი, დაბა თიანეთი, ხევსურთსოფელი, თვალივი, ბულაჩაური, კანატია, ლისი,

ბოდორნა, ციხისძირი, ანანური, ლაგოდეხი, თელავი-კისისხევი, საგარეჯო, დედოფლისწყარო, გურჯაანი, ახმეტა, კოჭბაანი, ანდეზიტი, წაღვერი, ასპინძა, ჩორჩანი, ზღუდერი, ლესემა, სადმელი, ბორჯომის პლატო, ხაშური, ახალციხე, ზუგდიდი, ამამლო, ხოდაშენი, ბოლნისი, ჩოხატაური, შემოქმედი, ჯიღაურა, ძეგვი, გორი-ბობნევი, კასპი, ყვარელი, ტყიბული, ახალსოფელი, მარტვილი, თეთრიწყარო, საჩხერე, ცაგერი-გაგულეჩი, მანდაეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური-ქვენობანი, ფშაველი, წალენჯიხა- ჯვარი, ენისელი, ჭიკაანი, ყუდრო, ნერგეეთი, სორი, თეთრაწყარო, ოსიაური, ვანი, ხაბუმე, მანავი, კორბოული, წალკა, აწყური, სენაკი, ალექსეევკა, ჭიათურა-ხრეითი, ხობი-ხამისკური, ზარზმა, გრიგალათი-ხევი, მამხუტი);

7. სტრატეგიული დაგეგმვა და განვითარება

სექტორში არსებული გამოწვევების დაძლევის შესახებ საერთაშორისო პრაქტიკისა და მიდგომების გაზიარების მიზნით, ეროვნული სატყეო სააგენტო ინტენსიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თუ საერთაშორისო ორგანიზაციებთან. აღნიშნული თანამშრომლობის შედეგად, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი, ნაწილი კი კვლავ მიმდინარეობს.

7.1 საერთაშორისო თანამშრომლობა

სლოვენიის რესპუბლიკის საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარების ცენტრის (CMSR) მხარდაჭერა.

საერთაშორისო თანამშრომლობის და განვითარების ცენტრსა (CMSR) და სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების, "ტყის მდგრადი მართვა ადიგენის მუნიციპალიტეტში" პროექტის II ფაზის ფარგლებში ადიგენის მუნიციპალიტეტში მოეწყო 3 საკემპინგე, 3 საპიკნიკე სივრცე და ჯამში 26 კმ სიგრძის 5 საფეხმავლო ბილიკი; ადიგენის სატყეო უბნის კეხოვანის სატყეოში რეაბილიტაცია ჩაუტარდა - 2,714 კმ გზას, ხოლო მოეწყო - 2,461 კმ. პროექტი წარმატებით დასრულდა.

გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროს (BMZ), კლიმატის მწვანე ფონდისა (GCF) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერა:

ტყის სექტორის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა საქართველოში ტყის დეგრადაციის შედეგად სათბური აირების გამოყოფის შემცირებისთვის (GIZ/GCF/NFA) . პროექტის განხორციელების პერიოდი: 2021-2028 წლები.

პროექტის ფარგლებში გათვალიწინებულია სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება ტყის აღრიცხვის, ტყის მოვლა აღდგენისა და ტყითსარგებლობის მიმართულებით. შესაბამისად, კონკრეტული აქტივობების შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ზემოხსენებული მიმართულებების და ფინანსურ ქვეთავებში, სადაც ასახულია პროექტის ფარგლებში, მიმდინარე და განხორციელებული საქმიანობა.

ევროკომისიის მხარდაჭერით, ხორციელდება პროექტი - საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში დუალური (ორმაგი) განათლების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება.

პროექტის მიზანია, უმაღლესი განათლების სისტემაში სტრატეგიული ჩარჩოს შეცვლა, დუალური განათლების დანერგვის უზრუნველსაყოფად. პროექტის ფარგლებში, ეროვნული სატყეო სააგენტო ხელს შეუწყობს თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტს ორმაგი განათლების დასანერგად საპილოტე ღონისძიებების განხორციელებაში. პროექტის ხანგრძლივობა 4 წელია და სააგენტოსთვის გამოყოფილი ბიუჯეტი 18 511 ევროს შეადგენს. პროექტის განხორციელების მიზნით შექმნილია კონსორციუმი და მიმდინარეობს დუალური განათლების საუკეთესო პრაქტიკის კვლევა.

პროექტით მიმდინარეობს დუალური განათლების ზოგადი მოდელის მომზადება საქართველოში. უმაღლესი განათლების კანონში ცვლილებების შეტანასთან დაკავშირებით გაიმართა სამუშაო შეხვედრები.

8. საზოგადოებასთან ურთიერთობა

ეროვნული სატყეო სააგენტოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია სატყეო სექტორის პოპულარიზაცია, საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და სოციალური

პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება და სააგენტოს საქმიანობის სრული გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა. სააგენტოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური, მასმედიასთან და საზოგადოებასთან პერმანენტული დიალოგის გაძლიერების გზით, მნიშვნელოვნად ეხმარება სააგენტოს ამ მიზნის მიღწევაში.

სატყეო სააგენტოს საქმიანობა ვრცელდება ოფიციალურ **web, facebook და youtube** არხებზე. ასევე, ელექტრონული და ბეჭდური მედიის საშუალებებში - სატელევიზიო და რადიო არხებით, როგორიცაა საზოგადოებრივი მაუწყებელი, იმედი, რუსთავი 2, მაესტრო, პოს ტვ, პალიტრა ტვ, ფორმულა, მთავარი და საინფორმაციო სააგენტოებით.

2025 წლის 9 თვის განმავლობაში საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა განახორციელა შემდეგი მნიშვნელოვანი თემების გავრცელება:

იცოდე რატომ არის ქართული ტყე უნიკალური

სულ მომზადდა: 9 ვიდეო-რგოლი, რომელიც გამოქვეყნდა ეროვნული სატყეო სააგენტოს ოფიციალურ web, facebook და youtube არხებზე.



21 მარტი ტყის საერთაშორისო და დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე

სულ მომზადდა: 1 ბანერი; 2 გადაცემაში მიიღო მონაწილეობა ეროვნული სატყეო სააგენტოს წარმომადგენელმა; 2 სიახლე - გაშუქდა ეროვნული სატყეო სააგენტოს ოფიციალურ web, facebook და youtube არხებზე, და საინფორმაციო სააგენტოებში გზით.

ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით მომზადდა 1 ბანერი და გავიდა ერთი სიუჟეტი მეტყევე ქალებზე



გაუფრთხილდი ტყეს!



დამზადდა 1 ბანერი, რომელიც გამოქვეყნდა ეროვნული სატყეო სააგენტოს ოფიციალურ facebook არხებზე.

ინფორმაცია რეგიონული სატყეო სამსახურების თანამშრომლების მიერ გამოვლენილი სამართალდარღვევათა და დაურეგისტრირებელი სახერხი საამქროების შესახებ

სულ მომზადდა: 7 ბანერი და 9 სიუჟეტი. ინფორმაცია გაშუქდა სატელევიზიო და რადიო არხებით, საინფორმაციო სააგენტოებით და ეროვნული სატყეო სააგენტოს ოფიციალურ web, facebook და youtube არხებზე.



გურიის რეგიონში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სტიქიით დაზარალებული მოსახლეობა საშეშე რესურსით მოამარაგა

ინფორმაცია გაშუქდა სატელევიზიო, რადიო არხებით, საინფორმაციო სააგენტოებით და ეროვნული სატყეო სააგენტოს ოფიციალურ web, facebook და youtube არხებზე.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგიონული სამსახურების თანამშრომლებს შეხვდა

ინფორმაცია გაშუქდა სატელევიზიო, რადიო არხებით, საინფორმაციო სააგენტოებით და ეროვნული სატყეო სააგენტოს ოფიციალურ web, facebook და youtube არხებზე.

მესამე კვარტლის განმავლობაში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და მცხეთა-მთიანეთის სატყეო სამსახურის თანამშრომლებს შეხვდა და მათ სამუშაო პირობებს გაეცნო.

ბზობის დღესასწაულთან დაკავშირებით, **კამპანია „ნუ მოჭრი ბზას!“ ფარგლებში** დამზადდა 1 ვიდეო-რგოლი, 4 ბანერი. ასევე, ბზის დაცვის მნიშვნელობა და მის უკანონო მოჭრაზე სანქციების გამკაცრება გაშუქდა სხვადასხვა სამაუწყებლო კომპანიის 6 სატელევიზიო გადაცემაში, და 1 სიუჟეტში საინფორმაციო გამოშვებაში.

დედამიწის დღესთან დაკავშირებით დამზადდა 1 ბანერი

სატყეო განათლების ხელშეწყობასა და სააგენტოს 2025 წლის გეგმებზე ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილემ ისაუბრა გადაცემაში “მაესტრო რეგიონები”.

ეროვნული სატყეო სააგენტოსა და „ეფესის ლუდსახარშების საერთაშორისო ჯგუფის“ (EBI) წარმომადგენლობას შორის **თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.**

ხე-ტყის დარგვის მიმართულებით გაშუქდა საპატრიარქოს ფონდის „გაამწვანე საქართველო” ინიციატივით და ეროვნული სატყეო სააგენტოს მხარდაჭერით, წმ. სპირიდონ ტრიმიფუნტელის სახელობის ტაძრის ეზოში 30-მდე ზეთისხილის ხის დარგვა.

გარემოს დაცვის მსოფლიო დღის აღნიშვნის ფარგლებში მომზადდა 2 ბანერი, ეთერში გავიდა 2 გადაცემა და 1 სიუჟეტი.

ზაფხულში ტემპერატურის ზრდასთან ერთად, დაიწყო ხანძრების პრევენციის კამპანია, რომლის ფარგლებშიც დამზადდა 4 ბანერი, თემა გაშუქდა სხვადასხვა სატელევიზიო არხის 4 გადაცემაში და 2 საინფორმაციო გამოშვებაში.

2025 წელს, ინვენტარიზაციის სამუშაოები გურიაში, მცხეთა-მთიანეთსა და კახეთში, ჯამში 127 ათას ჰექტარ ფართობზე განხორციელდება, რათა სწორად და ეფექტიანად დაიგეგმოს სატყეო-სამეურნეო ღონისძიებები მომავალი ათი წლისთვის. ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ტერიტორიის 50%-ისთვის მონაცემები უკვე განახლებულია. თემა გაშუქდა 2 საინფორმაციო გამოშვებაში და 1 სატელევიზიო გადაცემაში.

სამცხე-ჯავახეთში, სოფელ კეხოვანში, 3 კილომეტრამდე მონაკვეთზე სატყეო გზების მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს.

დამზადდა და სოციალური ქსელი facebook-ით გავრცელდა ეროვნული სატყეო სააგენტოს საქმიანობის ამსახველი 12 ბანერი

„კვირის მნიშვნელოვანი სიახლეები“.

მეტყევის პროფესიის პოპულარიზაციის მიზნით დამზადდა და web, facebook და youtube -ზე გამოქვეყნდა **8 ვიდეო- ბლოგი „მე მეტყევე ვარ“.**

ანაზღაურებადი სტაჟირების სამთავრობო პროგრამის ფარგლებში, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო სტაჟიორების მიღებას იწყებს.

2025 წლის პირველ ნახევარში სააგენტოს სოციალური ქსელი facebook-ის გვერდის მომხმარებელთა რაოდენობამ 17,375-ს შეადგინა.



9. ბიუჯეტის შესრულება

9.1 ინფორმაცია სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2025 წლისათვის, ,,საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სააგენტოს შემოსულობები განესაზღვრა 63,750.00 ათ. ლარის ოდენობით, აქედან შემოსავლები - დაფინანსება საბიუჯეტო სახსრების სახით - 24,750.00 ათ. ლარი, საკუთარი შემოსავლებიდან - 39,000.00 ათ. ლარის ოდენობით. გადასახდელები განსაზღვრული იქნა 73,750.00 ათ. ლარის ოდენობით, აქედან, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში - 24,750.00 ათ. ლარის ოდენობით, ხოლო კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლებიდან - 49,000.00 ათ. ლარის ოდენობით. საქართველოს მთავრობის 2025 წლის 21 მარტის N523 განკარგულებით დაზუსტდა აღნიშნული მაჩვენებლები და სააგენტოს გადასახდელების დაზუსტებულმა ოდენობამ შეადგინა ხარჯვით ნაწილში- 83,750.00 ათ. ლარი, აქედან, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში - 24,750.00 ათ. ლარი, ხოლო კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლებიდან - 59,000.00 ათ. ლარი.

2025 წლის მესამე კვარტალში დაზუსტდა მაჩვენებლები და სააგეტოს გადასახდელების დაზუსტებულმა ოდენობამ შეადგინა ხარჯვით ნაწილში - 83,037.9 ათ. ლარი, აქედან, საბიუჯეტო სახსრების ნაწილში - 24,037.9 ათ. ლარი, ხოლო კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლებიდან - 59,000.00 ათ. ლარი.

გარდა აღნიშნულისა, სააგენტო წლის განმავლობაში, მიზნობრივი გრანტების დაფინანსებით გეგმავს 2,759,15 ათ. ლარის გახარჯვას.

ცხრილი 1.

2025 წლის 9 თვის გეგმა/ფაქტი და შესრულების პროცენტული მაჩვენებელი *ათ. ლარი*

დასახელება	2025 წლის 9 თვის დაზუსტებული გეგმა				2025 წლის 9 თვის ფაქტი				2025 წლის 9 თვის შესრულება			
	მთლიანი ბიუჯეტი	მათ შორის			მთლიანი ბიუჯეტი	მათ შორის			მთლიანი ბიუჯეტი	მათ შორის		
		სახელმწიფო ბიუჯეტი	მიზნობრივი გრანტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	მიზნობრივი გრანტი	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტი	მიზნობრივი გრანტი	საკუთარი შემოსავლები
ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის	**24,055.0**			**24,055.0**	**24,055.0**			**24,055.0**				
შემოსულობები	**47,520.33**	**16,599.90**	**2,320.43**	**28,600.00**	**57,872.98**	**16,249.71**	**569.20**	**41,054.07**	**122%**	**98%**	**25%**	**144%**
შემოსავლები	**47,520.33**	**16,599.90**	**2,320.43**	**28,600.00**	**57,872.98**	**16,249.71**	**569.20**	**41,054.07**	**122%**	**98%**	**25%**	**144%**
მ.შ. საბიუჯეტო სახსრები	16,599.90	16,599.90	-	-	16,249.71	16,249.71	-	-	98%	98%		
მ.შ. საკუთარი შემოსავლები	28,600.00	-	-	28,600.00	41,054.07	-	-	41,054.07	144%			144%
გრანტები	2,320.43	-	2,320.43	-	569.20	-	569.20	-	25%		25%	
სატყეო სისტემის ჩამოყალიბება და მართვა 31 09	**45,264.33**	**16,599.90**	**2,320.43**	**26,344.00**	**42,602.27**	**16,249.71**	**569,20**	**25,783.36**	**94%**	**98%**	**25%**	**98%**
ეროვნული სატყეო სააგენტოს რეგულირება და მართვა 31 09 01	**20,291.30**	**8,835.30**	**20.00**	**11,436.00**	**19,835.46**	**8,586.02**	**2.17**	**11,247.27**	**98%**	**97%**	**11%**	**98%**
ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებები 31 09 02	**1,697.55**	**600.00**	**57.55**	**1,040.00**	**1,608.77**	**581.72**	**-**	**1,027.05**	**95%**	**97%**		**99%**
ტყითსარგებლობის ღონისძიებები 31 09 03	**22,630.48**	**7,164.60**	**2,242.88**	**13,223.00**	**20,515.27**	**7,081.96**	**567.03**	**12,866.29**	**91%**	**99%**	**25%**	**97%**
ტყის აღრიცხვა-ინვენტარიზაციის ღონისძიებები 31 09 04	**645.00**	**-**	**-**	**645.00**	**642.77**	**-**	**-**	**642.77**	**100%**			**100%**
ნაშთი პერიოდის ბოლოს	**26,311.00**				**39,325.71**			**39,325.71**				

9.2. კანონმდებლობით ნებადართული სხვა (საკუთარი) შემოსავლები და გადასახდელები

ფაქტობრივად, სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ მიღებულმა შემოსავლებმა **2025 წლის 9 თვეში შეადგინა 41,054.07 ათ. ლარი:**

გრაფიკი N1

2025 წლის 9 თვეში საკუთარი შემოსულობების რიცხობრივი და პროცენტული მაჩვენებლები სახეების მიხედვით



წყარო: სახელმწიფო ხაზინა

9.3. დაფინანსება სხვა წყაროებიდან:

საანგარიშო პერიოდში, მიზნობრივი გრანტების ფარგლებში განხორციელდა კანონით დადგენილი პროცედურები და დამტკიცდა მიზნობრივი გრანტების ხარჯთაღრიცხვები:

- ,,იმერეთის რეგიონში დაავადებული წაბლნარი ტყეების აღდგენის და განახლების პროგრამის და ეკო-პრემიების პროგრამის" ხელშეკრულების ფარგლებში - 65,6 ათ. ლარზე; (ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიას (BTC Co) და სამხრეთ კავკასიის მილსადენის კომპანიას (SCP Co) შორის);
- დამტკიცდა 2024 წლის ხარჯთაღრიცხვა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GCF/GIZ) - შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულება „ტყის მდგრადი მართვა ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე - 2 653.88 ათ. ლარზე, (8 სამიზნე სატყეო უბანი)“ მიზნობრივი გრანტი N2471, 10.03.2022, (ფულადი გრანტის მთლიანი მოცულობა-14,873,206.00 ევრო).
- „საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში დუალური (ორმაგი) განათლების განხორციელების შესაძლებლობების გაძლიერება“ - ევროპული განათლებისა და კულტურის აღმასრულებელ სააგენტოსა (ევროკომისია) და 16 ბენეფიციარს, მათ შორის სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს შორის ხელმოწერილ საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში - 39,7 ათ. ლარზე.

სულ ჯამში მიზნობრივი გრანტის ფარგლებში 2025 წლის 9 თვეში გასაწევმა ხარჯების გეგმამ შეადგინა 2,320.43 ათ. ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 569.20 ათ. ლარი.

9.4. ძირითად საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია:

- ✓ მომზადდა და მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულება (N523 21.03.25) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს 2025 წლის ბიუჯეტის, საშტატო ნუსხისა და სახელფასო ფონდის შეთანხმების თაობაზე;
- ✓ მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის განკარგულება (N310 21.02.25) „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო

სამართლის იურიდიული პირისთვის – ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე“;

- ✓ „საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების მიზნებისათვის უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ 2022 წლის 25 მარტის N2-240 ბრძანების საფუძველზე მომზადდა სააგენტოს 2024 წლის ანგარიში და 2025 წლის პირველი კვარტლის ანგარიში.
- ✓ მომზადდა ფინანსური დეპარტამენტის 2024 წლის ანგარიში და 2025 წლის პირველი და მეორე კვარტლის ანგარიში.
- ✓ „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს N219 დადგენილების თანახმად მომზადდა 2024 წლის ანგარიში და 2025 წლის პირველი და მეორე კვარტლის ანგარიში.
- ✓ მომზადდა ცვლილებები სააგენტოს 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯების კვარტალურ განწერაში (კვარტლებსა და კლასიფიკაციის მუხლებს შორის დაზუსტების მიზნით);
- ✓ მომზადდა სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GCF/GIZ) - შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების (ტყის მდგრადი მართვა ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის დაქვემდებარებულ ტერიტორიებზე - 8 სამიზნე სატყეო უბანი) თანახმად კვარტალური ანგარიშგება - N10 , N11 და N12 ;
- ✓ სააგენტოს მიერ გასაწევი ფასიანი მომსახურეობის ნაწილში მომზადდა და გაფორმდა 33 ხელშეკრულება *(მერქნული რესურსის აღრიცხვისა და საკადასტრო ნახაზების მომზადების);*

9.5. ელექტრონული აუქციონის წესით მერქნული რესურსის რეალიზაცია.

- 2025 წლის I, II, და III კვარტალში გამოცხადდა 910 ელექტრონული აუქციონი. სტატუსით გაყიდული მერქნული რესურსის მოცულობამ შეადგინა 131 086 კუბური მეტრი. აუქციონის გასაყიდმა თანხამ შეადგინა 28 783 946 ლარი.

- გამოცხადდა სახელმწიფო ტყის მიწის ნაკვეთზე საკომუნიკაციო ქსელების სახაზო ნაგებობის განთავსების მიზნით 9 (ცხრა) ელექტრონული აუქციონი. აქედან შედგა 7 (შვიდი) ელექტრონული აუქციონი 2304 კვმ-ზე, რომლის გასაყიდმა ფასმა შეადგინა 126 000 ლარი.
- გამოცხადდა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე 10 (ათი) ელექტრონული აუქციონი. აქედან შედგა 9 (ცხრა) ელექტრონული აუქციონი 90 675 კვმ-ზე, რომლის გასაყიდმა ფასმა შეადგინა 87 881,39 ლარი.
- გამოცხადდა 2 ელექტრონული აუქციონი საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სარგებლობაში არსებული შენობის პირველ სართულზე ერთი ერთეული სავაჭრო (ვენდინგ) აპარატის (ყავისა და პროდუქტების) განთავსებისათვის საჭირო ფართის სარგებლობაში გაცემის მიზნით, საიდანაც ერთი აუქციონი ჩაიშალა, ხოლო მეორე მიმდინარეა და დასრულდება 2025 წლის 08 ოქტომბერს.

9.6. სახელმწიფო შესყიდვები

სააგენტოს ადმინისტრაციული და სხვა საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, საანგარიშო პერიოდში, გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით - 10,751,302.71 ლარზე, საკუთარი სახსრებით - 9,080,190.54 ლარზე, მიზნობრივი გრანტის ფარგლებში - 485,626.39 ლარზე.